MES 7 21 0000338249

08/04/2021

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა-Zoom-ის გამოყენებით, **2021წლის 25 მარტს.**

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ზურაბორჯონიკიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი), ქირურგიული სტომატოლოგიის მიმართულების პირის ღრუს ქირურგიისა და იმპლანტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარე);
თამარზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);
თამარვეფხვაძე - სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში კონსულტანტი, ფილოლოგიის დოქტორი;
ლელასალაყაია - ა(ა)იპ - ადამიანური რესურსების მართვის პროფესიონალთა ასოციაციის სენატის წევრი;
ივანეაბაშიძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
გოდერძიბუჩაშვილი - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი, სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი განათლების მიმართულებით;

დავითბოსტოღანაშვილი - შპს "აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, შპს "აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის" იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი;
ეკაეკალაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
იურიმღებრიშვილი - საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო-კველვითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;
აკაკიხელაძე - სსიპ - ქუთაისის საერთაშრისო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტ-ბიზნესის მიმართულებით;
ერმილემესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, კულტურის მენეჯმენტისა და კულტურული ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
მორისშალიკაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის "კრიმინალისტიკისა და კრიმინოლოგიის" სასწავლო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
ზურაბგვიშიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
დავითტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი).

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

სოფიკო ქურასბედიანი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.
სანდრო ტაბატაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.
დავით ბურჯანაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - იაკობგოგებაშვილისსახელობისთელავისსახელმწიფოუნივერსიტეტის წარმომადგენლები:
ირმა შიოშვილი - რექტორი
ნუნუ გელდიაშვილი - რექტორის მოადგილე
მზია მაისურაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

მაია გონაშვილი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე
ქეთევან ხმალაძე - HR
ნანა რინკიაშვილი - ფაკულტეტის დეკანი
ფაკულტეტის დეკანი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

სხდომას ესწრებოდა ასევე, დაინტერესებული პირი - თამარ ზუბიტაშვილი

სსიპ - სამცხე - ჯავახეთისსახელმწიფოუნივერსიტეტის წარმომადგენლები:
მაკა ბერიძე - რექტორი
როინ თათეშვილი - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ნინო მილაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

სსიპ - იაკობგოგებაშვილისსახელობისთელავისსახელმწიფოუნივერსიტეტი
- ექსპერტი:
მაკა გველესიანი

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ზურაბ ორჯონიკიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილი იყო, რადგან მას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

დღის წესრიგი:

1. სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში ავტორიზაციის პირობების შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ მათ არ ჰქონდათ თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის დეკემბერში, ექსპერტთა ჯგუფი შედგებოდა 2 წევრისგან. ვიზიტის ფარგლებში გამოიყო რვა ძირითადი რეკომენდაცია, რომელთა გათვალისწინებაც მისი თქმით ძალიან მნიშვნელოვანია. ვიზიტის მიზანი იყო ავტორიზაციის მეოთხე სტანდარტის და განსაკუთრებით 4.1 კომპონენტის შეფასება, მათ უნდა დაედგინათ გააჩნდა თუ არა დაწესებულებას პერსონალის სამსახურში მიღების გამჭვირვალე და ობიექტური პროცედურა, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს აკადემიური სამეცნიერო და ზოგადად პერსონალის პოზიციებზე კვალიფიციური კადრების მოზიდვას და დასაქმებას. როგორც მან აღნიშნა, პერსონალის პროფესიული კვალიფიკაციის და უნარჩვევების შესაბამისობის დადგენის მიზნით უნდა გაიწეროს გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს გასაუბრების ხარისხობრივ შეფასებას და შეფასების გამჭვირვალობის გაზრდას. დაწესებულებამ უნდა გადახედოს კონკურსის კრიტერიუმების ქულობრივ შეფასების სისტემას, ისე რომ პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსანტის შეფასებისას პრიორიტეტი მიენიჭოს მის სამეცნიერო კვლევით მიმართულების შეფასებას. რაოდენობრივად უნდა შეიზღუდოს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებში, სამეცნიერო ფორუმებში, კონფერენციებში მონაწილეობა, ისე როგორც ეს არის სამეცნიერო ხასიათის სტატიების შემთხვევებში და დადგინდეს შეფასების მაქსიმალური ზღვრები. გაიზარდოს იმპაქტ ფაქტორიან სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებულ სტატიების ქულობრივი შეფასება, გაიზარდოს ციტირების ინდექსის ქულობრივი შეფასება, დაწესებულებამ უნდა შეიმუშაოს აფილირების წესი, რომელშიც დაბალანსებულად იქნება ასახული ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობები, აფილირების პოლიტიკა უნდა იყოს მიმართული დაწესებულების მიმზიდველობის გაზრდისა და მაღალკვალიფიციური სასწავლო და სამეცნიერო კადრების მოზიდვისაკენ. დატვირთვის წესში მითითებული უნდა იყოს დატვირთვის კონტროლის მექანიზმების შესახებ, კერძოდ როგორ და რა ინტენსივობით მოხდება დატვირთვის სამიზნე ნიშნულების კონტროლი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას, დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია

დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათთან არსებული რეგულაცია სრულად უზრუნველყოფს გასაუბრებისგამჭვირვალობას. როგორც მან აღნიშნა, გასაუბრების მიზანია გამოავლინოს თითოეული კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია რამდენად შესაბამისობაშია მის პიროვნებასთან და ასევე რამდენად შეძლებს აღნიშნული პიროვნება აკადემიურ სამეცნიერო მოღვაწეობას, აქ არის ორი შეფასების კრიტერიუმი, შეესაბამება ვაკანტურ ადგილს თუ არ შეესაბამება, თუმცა შეფასების დეტალური კრიტერიუმების გაწერამ შესაძლოა უკეთესი გახადოს აღნიშნული წესი, თუმცა ის რომ არსებული პროცედურა ვერ უზრუნველყოფს კონკურსანტის ობიექტურ შეფასებას, აღნიშნულს დაწესებულება ვერ გაიზიარებს. რაც შეეხება აფილირების პოლიტიკას, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათ აქვთ დოკუმენტი რომელიც გაწერს, იმ პირობებს, რა პირობებიც უნდა დაიცვას კონკრეტულმა აკადმიურმა პერსონალმა, ხოლო აფილირებული პერსონალისთვის მხარდასაჭერი ღონისძიებები გაწერილია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში, რაც იმას ნიშნავს რომ დაწესებულებისთვის ეს არის სტრატეგიული მიზანი და აუცილებელია იმ პირობების შესრულება, ხოლო ხელშეკრულების ნაწილში კი ხდება ამ ყველაფრის დაზუსტება. ისინი მზაობას აცხადებენ გადახედვაზე და გარე შეფასების გათვალისწინებაზე, ასევე როგორც მან აღნიშნა, კონკურსის მსვლელობა არანაირი დარღვევით არ ჩატარებულა, ყველა პირობა სათანადოდ იყო გათვალისწინებული და მომჩივანს პრეტენზიისთვის არანაირი საფუძველი არ გააჩნდა.

მაღალრეიტინგულ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი იზიარებენ აღნიშნულ რეკომენდაციას, როგორც მან აღნიშნა ეს მათთვის წარმოადგენს გამოწვევას და მათი პოლიტიკაც სწორედ აქეთკენაა მიმართული. ისინი აფილირებულ აკადემიურ პერსონალს პუბლიკაციების გამოქვეყნების სურვილის შემთხვევაში უცხადებენ ფინანსურ მხარდაჭერა. აკადემიური პერსონალის დატვირთვის შემოწმების მექანიზმთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ ყველა სემესტრის ბოლოს ხდება აკადემიური პერსონალის დატვირთვის მონიტორინგი, რომელსაც უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და რექტორის მოადგილეები, ორი სამეცნიერო და სასწავლო ნაწილში. ხოლო შემდეგ ეს ყველაფერი ჯამდება აკადემიურ საბჭოზე შემდგომ კი ხდება შესაბამისი რეაგირებები უნივერსიტეტის შინაგანაწესსა და აკადემიური პერსონალის მართვის ეფექტიანობის წესთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ისინი ყოველი დიდი კონკურსის შემდგომ ახორციელებენ გარკვეული შედეგების ანალიზსს, რათა გასაზღვრონ ის გასაუმჯობესებელი მხარები, რომლებსაც შემდეგ ითვალისწინებენ დებულებაში. აღნიშნული მიდგომის საფუძველზე განხორციელდა ოქტომბერ-ნოემბერში დაწყებულ კონკურსის შედეგების ანალიზი, მათ გამოყვეს გასაუმჯობესებელი მხარეები, მიმდინარეობდა კონსულტაციები, შემუშავდა ცვლილებების პაკეტი, რომელიც 1 დეკემბერს გავიდა აკადემიურ საბჭოზე, ასევე დოკუმენტის პროექტი მის მიერ გაგზავნილ იქნა ფაკულტეტებზე, საიდანაც უკუკავშირი მიიღეს დეკემბრის შუა რიცხვებისთვის. საბოლოო ვარიანტი კი მიღებულ იქნა აკადემიური საბჭოს მიერ. შემდეგ დოკუმენტი გადაგზავნილი იქნა საბოლოო ინსტანციაში წარმომადგენლობით საბჭოზე დასამტკიცებლად, როგორც მან აღნიშნა, ამ პერიოდში განხორციელდა ექსპერტების ვიზიტი და გაიცა რეკომენდაციები, რომელიც ორიენტირებულია აღნიშნული დებულების დახვეწასა დაგაუმჯობესებაზე. ცვლილებების პაკეტში, რომელიც ექსპერტების ვიზიტამდე განხორციელდა ექსპერტების ორი რეკომენდაცია, კერძოდ ტრენინგებზე ზღვრის დადება და ციტირების ინდექსისთვის შეფასების ქულის აწევა, უკვე გათვალისწინებული იყო. მისი თქმით, ცვლილებების პაკეტის შემუშავებას კავშირი არ ჰქონია საჩივართან ვინაიდან საჩივრდებოდა ეგრეთწოდებული შედეგების გაყალბება, რომელიც არ დადასტურდა და არა შერჩევის კრიტერიუმები.

დაწესებულების განმარტებით ტრეინინგების ნაწილიც, რომ არ ჩაეთვალათ მომჩივანისთვის ეს მაინც არ შეცვლიდა მოცემულ სურათს ვინაიდან, სხვა კრიტერიუმებითაც სხვა კონკურსანტები

უფრო მეტ ქულებს აგროვებდნენ ვიდრე მომჩივანი. ტრენინგებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ როდესაც ისინი ატარებენ გამოკითხვებს, პროცენტული მაჩვენებლით, მეორე ადგილზე, ხელფასის ზრდის შემდეგ მოდის თანამედროვე სწავლების კვლევის მეთოდებში კვალიფიკაცის ასამაღლებელ ტრენინგებზე სურვილი. წახალისების მიზნით იმ დროისთვის ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხი იყო, როგორც მან აღნიშნა, მუდმივად იცვლება თანამედროვე ტენდენციები, როგორც სწავლა-სწავლების ისე კვლევით ნაწილში, ტრენინგების გავლა თუ დარგის მიხედვით განხორციელდებოდა ეს უნდა ყოფილიყო წახალისებული. მისი თქმით, ამ ნაწილმა თავისი თავი ამოწურა. შესაბამისად, როგორც მან აღნიშნა, წესი, რომლის მიხედვითაც ყოველი ჩატარებული კონკურსის შემდეგ შედის შესაბამისი ცვლილებები დებულებაში, უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების შერჩევას და ეს არის უნივერსიტეტის პოზიცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე კითხვები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა თამარ ზარანდიამ აღნიშნა, რომ ზოგადად კონკურსის პირველი ეტაპია დოკუმენტაციის შემოწმება, ხოლო გასაუბრება არის მეორე ეტაპი, ის დაინტერესდა მეორე ეტაპის, გასაუბრების, კრიტერიუმები იყო თუ არა დეტალურად გაწერილი. ასევე ის დაინტერესდა იმასთან დაკავშირებით თუ რა ბენეფიტები აქვს აფილირებულ აკადემიურ პერსონალს?

საბჭოს წევრი გოდერძი ბუჩაშვილი დაინტერესდა კონკურსში მონაწილე პირისთვის იყო თუ არა წინასწარ შერჩევის კრიტერიუმები ცნობილი და სად იყო აღნიშნული პროცედურები განთავსებული?

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა რომ წინასწარი შერჩევის კრიტერიუმები დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი ყველა დაინტერესებული მხარისთვის და განთავსებული იყო ვებ გვერდზე, მისი თქმით ნებისმიერი რედაქცია ვებ - გვერდზე მუდმივადაა განთავსებული. მისი თქმით განთავსების პროცესი არის ცირკულარული, ნებისმიერი ცვლილება განიხილება და მზადდება ცენტარული ადმინისტრაციის მხრიდან, შემდეგ ეგზავნებათ ძირითად ფაკულტეტებს, საიდანაც უკუკავშირის მიღების შემდეგ გადამუშავებული ვერსია ისევ ეგზავნებათ გასაცნობად. ამ პროცესში ყველა აკადემიური პერსონალია ჩართული. მისი თქმით ეს ყველაფერი რა თქმა უნდა მომჩივანისთვისაც იყო ცნობილი და ყველა სხვა დაინტერესებული მხარისთვისაც. როგორც მან აღნიშნა, როგორც კი საიტზე გამოქვეყნებულ კონკურსის წესებში შედის რაიმე ცვლილება, იმავე საღამოს განახლებული ვარიანტი იდება ვებ გვერდზე.

აფილირებული აკადემიური პერსონალის ბენეფიტებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბენეფიტები აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის გაწერილია სტრატეგიული განვითარების გეგმაში ეს არის მაღალრეიტინგულ ჟურნალებში სტატიის გამოქვეყნება, კომფერენციებში, სამეცნიერო ქვორუმებში მონაწილების ფინანსური მხარდაჭერა, კვლევითი ან საგანმანათლებლო პროექტების წარმოდგენის შემთხვევაში ფინანსური და მატერიალურ ტექნიკური მხარდაჭერა. ასევე მათი საერთაშორისო კონტაქტების გაღრმავება, რომელიც გაწერილია უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაში. ეს ყველაფერი კი ხელშეკრულებების ნაწილი ხდება მაშინ, როდესაც ისინი აფლირებაზე აწერენ ხელს. ასევე, როგორც მან აღნიშნა, უნივერსიტეტში პროგრამის გაუქმების შემთხვევაში თუ საათების რაოდენობამ იკლო და კონკრეტულ პირებთან ხელშეკრულებისას გაუქმება გახდა აუცილებელი, ამ ნაწილში უპირატესობა აფილირებულ პერსონალს ენიჭება.

გასაუბრების შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იმის დასადგენად კონკრეტული პირი შეესაბამება თუ არა ვაკანტურ თანამდებობას არსებობს პროცედურა, რომელიც პირველ რიგში მოიცავს დოკუმენტაციის გაცნობას ხოლო შემდეგ გასაუბრებას, გასაუბრების დროს კომისია, რომელიც დაკომპლექტებულია მაღალი დონის პროფესიონალებით იმ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ამოწმებს რამდენად თავსებადია პიროვნება მის მიერ წარმოდგენილ დოკუმეტაციასთან. მისი

თქმით, თუ დაწესებულება გასაუბრების შეფასების კრიტერიუმებს გაწერს სილაბუსის მსგავსად, ეს უფრო მეტ ბუნდოვანებას შექმნის.
საბჭოს წევრი, მორის შალიკაშვილი დაინტერესდა, კომისია თავის თავზე იღებდა თუ არა კონკურსის პირველი ეტაპის რამდენიმე კრიტერიუმის მაგალითად, პედაგოგიური სტაჟი, აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო მოღვაწეობა და სხვა. გაწერას.
დაწესებულების განმარტებით ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმები ისედაც გაწერილი აქვთ შესაბამის წესში. მისი თქმით, კონკურსი ორ ეტაპიანია, პირველი ეს არის დოკუმენტაციის მიღება ხოლო შემდგომ უშალოდ კონკურსი, რომელიც ასევე ორ ეტაპად იყოფა:დოკუმენტაციის შესწავლა (18 კრიტერიუმისგან შემდგარი) და გასაუბრება.
საბჭოს წევრმა დავით ბოსტოღანაშვილმა აღნიშნა, რომ ქალბატონ თამარ ზარანდიას აინტერესებდა კონკრეტული საკითხი, კერძოდ, არის თუ არა გაწერილი გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები. ასევე, მან განმარტა, რომ შეფასების კრიტერიუმების გაწერა აუცილებლად არ გულისხმობს კრიტერიუმებისთვის შესაბამისი ქულების მინიჭებას, როდესაც გასაუბრებაზე უარს ეუბნებით რომელიმე კანდიდატს, მნიშვნელოვანია განსაზღვრებადი იყოს ის საფუძვლები, რითად უარი ეთქვა კონკურსანტს, სწორედ ამ მიზანს ემსახურება შეფასების გარკვეული კრიტერიუმების არსებობა.
დაწესებულების განმარტებით, კონკურსი მოიცავს ჯერ გასაუბრებას ხოლო შემდეგ ქულებს, როგორც მან აღნიშნა, არსებობს დაწესებულებები სადაც პირიქით ხდება, ჯერ იწერება ქულები ხოლო შემდგომ ხდება გასაუბრება. ხოლო ის თუ როგორი კომუნიკაციის უნარი აქვს კონკურსანტს, რა არის მისი კვლევითი მიმართულება, თუ კონცეფცია, რა სწავლის მეთოდებს იყენებს და ა.შ სწორედ ამ თემების გარშემო ტრიალებს კონკურსანტებთან დასმული კითხვები. ეს ყველაფერი კი რა თქმა უნდა ასახულია შესაბამის დასკვნაში.
საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ აღნიშნა, რომ როგორც მიხვდა შეფასების კრიტერიუმები პრაქტიკაში არსებობს თუმცა, ის დაინტერესდა, რამდენად იყო ეს კრიტერიუმები წინასწარ განსაზღვრული იმ აქტით, რომელი აქტითაც ტარდება კონკურსი.
დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით პირველ ეტაპზე, საბუთების მიხედვით დგინდება რამდენად აკმაყოფილებს კონკურსანტი სავალდებულო მოთხოვნებს, თუ ის აღნიშნულს დააკმაყოფილებს ის დაშვებული იქნება გასაუბრებაზე.
საბჭოს წევრი, დავით ბოსტოღანაშვილი დაინტერესდა სად ხდებოდა კონკურსანტების საბუთების ჩაბარება.
დაწესებულების განმარტებით იქმნება საბუთების მიმღების კომისია, რომელიც ახორციელებს საბუთების მიღებას.
საბჭოს წევრის, მორის შალიკაშვილის განმარტებით სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი მოითხოვს, რომ მოქალაქისთვის წინასწარ განჭვრეტადი უნდა იყოს კონკურსში მონაწილეობის მიღების საკითხები. ასევე, მან აღნიშნა, რომ მაგალითად არსებობს დოკუმენტების მიმღები კომისია, მაგალითად, ის არის სამართლის დოქტორი მაგრამ აქამდე ის ლექციებს კითხულობდა მხოლოდ საქართველოს ისტორიაში, შესაბამისად ის დაინტერესდა, მის კვალიფიციურობას სამართალში, ვინ შეაფასებდა.
დაწესებულების განმარტებით ამას აფასებს დარგობრივი კომისია.
რეპლიკის სახით საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ, აღნიშნა, რომ კრიტერიუმების არარსებობა არის რეალური პრობლემა და კარგი იქნება თუ კი დაწესებულება აღნიშნულ საკითხს ყურადღებას მიაქცევს.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დებულების შემდგომი ცვლილებების პაკეტში აღნიშნულს აუცილებლად გაითვალისწინებენ.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება 15:40 წუთზე.
საბჭოს სხდომა განახლდა: 15:50 წუთზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 14
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
წარმოდგენილი საჩივრის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლის 25 - ე პუნქტის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა, შეწყდეს სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მეორე საკითხი: სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.
ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ მათ არ ჰქონდათ თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ რეკომენდაციების შესრულებაზე ფიქრი დაიწყო 2020 წლის 20 თებერვლიდან. როგორც მან აღნიშნა, რეკომენდაციების ნაწილი ერთი წლის განმავლობაში სრულად შეასრულეს, ხოლო ნაწილი არის შესრულების პროცესში, ვინაიდან თვითონ რეკომენდაციების შინაარსი მოიცავდა პროცესს. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით რეკომენდაციების ნაწილი, რომელიც ეხებოდა მატერიალურ ტექნიკური ბაზის სრულყოფას დაწესებულებამ მიუხედავად პანდემიური პერიოდისა შეძლო შესრულება, მაგალითად, უნივერსიტეტის მეორე კორპუსში დასრულებულია ლიფტის დამონტაჟება, ასევე დასრულებულია სახანძრო უსაფრთხოება,

როგორც მან აღნიშნა, კითხვები იყო ასევე სველ წერტილებთან დაკავშირებით, რაც ასევე დასრულებულია. შესრულებული და ნაყიდია გარკვეული კომპიუტერების შემადგენლობა, უნივერსიტეტის მესამე კორპუსში სრულდება გარკვეული სამუშაოები.
დაწესებულების წარმომადგენლის თქმით რეკომენდაციების მეორე ნაწილი ეხებოდა პროგრამებს, მისი თქმით, დაახლოებით ათამდე რეკომენდაცია იყო ისეთი, რომელიც პროგრამების განახლებას და მათი მუდმივ დახვეწის პროცესს გულისხმობდა. დაწესებულებამ არა მხოლოდ განაახლა არამედ განახლებული პროგრამები უკვე წარმოადგინა აკრედიტაციაზე. უნივერსიტეტში სულ 6 პროგრამა რჩება, რომელიც არ არის ახალი სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანილი, თუმცა მათი აკრედიტაციის ვადა შემდეგი წელია და ისინი მუშაობენ იმისათვის რომ აღნიშნული პროგრამები მოამზადონ აკრედიტაციისთვის.

რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა ვებ გვერდზე სრული ინფორმაციის ასახვას, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით ზედმიწევნით შესრულებულია. ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან განმარტა, რომ ეს არის ისეთი რეკომენდაცია, რომელიც მუდმივად გაანხლებადია, მისი თქმით, დაწესებულებამ 4 უცხოელ უნივერსიტეტთან დადო მემორანდუმი, ასევე დაწესებულებაში დაწყებულია უცხოელი პროფესორების მოწვევის ტენდენციაც. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, უნივერსიტეტს გააჩნია 2 სადოქტორო საბჭო. ერთ-ერთია ქართული ფილოლოგიის სადოქტორო საბჭო. ერთი პროფესორი ფრანკფურტიდან იქნა მოწვეული ხოლო მეორე რუმინეთიდან. უცხოელია ეკონომიკის სადოქტორო პროგრამის განხორციელებაში ჩართული. დაწესებულებამ აღნიშნა, რომ უცხოელი პროფესორების ჩართულობა სადოქტორო დონეზე განახორციელეს ამ 1 წლის განმავლობაში. რაც შეეხება ინტერნაციოლიზაციის საკითხებთან დაკავშირებულ უცხო ენის კომპეტენციების ამაღლებას, მისი თქმით ამ მხრივ უნივერსიტეტმა თავისი დაფინანსებით გააგრძელა სასწავლო კურსები, როგორც ლექტორებისთვის ისე სტუდენტებისთვის. დაწესებულება მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს უცხოენოვანი ახალგაზრდა კადრების მოზიდვაზე, ასევე მისი თქმით, დოქტორანტურის პროგრამაზე მისაღებ გამოცდაში სავალდებულო საგნად ინგლისური ენა განისაზღვრა.
საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ აკადემიური სივრცისთვის დიდი გამოწვევაა ეთიკის ნორმებთან დაკავშირებით ანტი დისკრიმინაციული რეგულაციების გაძლიერება, ამ პროექტში კი აქტირადაა ჩართულია სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
საბჭოს წევრმა, აკაკი ხელაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებამ საკმაოდ ოპერატიულად დაიწყო რეკომენდაციების შესრულება და ეს მისასალმებელია, ასევე, პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით მან იკითხა, დაახლოებით როდის იგეგმებოდა სტრუქტურის პროექტის წარდგენა სამინისტროში, ასევე მან აღნიშნა რომ დაწესებულების ბიუჯეტში კვლევით კომპონენტის გაძლერებისთვის განსაზღვრულია 80 00 ლარი და ნათქვამია რომ ამ მიმართულებით დაფინანსება გაიზარდა, შესაბამისად ის დაინტერესდა დაახლოებით რა რაოდენობის თანხა იყო გათვალისწინებული ადრე კვლევითი კომპონენტის გაძლერებისთვის.
დაწესებულების წარმომადგენელმა პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სტრუქტურის სამუშაო ვერსია უკვე არსებობს, რომელის აკადემიურმა საბჭომ უკვე განიხილა და ჰქონდა შენიშვნებიც, ასევე პროექტი გადაცემულია ფაკულტეტზე, მისი თქმით ამ ეტაპზე მათ რეაგირება არ აქვთ მიღებული მხოლოდ სტუდენტთა თვითმართველობიდან, ასევე, მისი თქმით, არსებობს ერთი პატარა დეტალი, სამცხე ჯავახეთის უნივერსიტეტში 4, 5 და 6 - ში არის აკადემიური საბჭოს არჩევნები, ხოლო ყველა ცვლილების გავლისთვის აკადემიური საბჭოს არსებობა აუცილებელია. მისი თქმით, სტრუქტურის ცვლილების წარდგენა სამინისტროსთვის იგეგმება დაახლოებით მაისის ბოლოს.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ წინა წელს სამეცნიერო კვლევებისთვის განსაზღვრული იყო 60 – 70 ათასამდე ლარი.

საბჭოსთავმჯდომარემგამოაცხადაშესვენება: 16:40 საათზე.
საბჭოსსხდომაგანახლდა: 16:50 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე: 14
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 79[1] მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიში.

საბჭოს სხდომა დასრულდა 17:00 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ორჯონიკიძე ზურაბ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით